საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

სავალუტო ბაზარი

თვის მიმოხილვა

2024

სარჩევი

ინფლაცია 3
საბანკო სექტორი 5
საგარეო სექტორი 7
სავალუტო ბაზარი 11
ფულადი ბაზარი 14
მონეტარული აგრეგატები 15

"თვის მიმოხილვა"
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

ინფლაცია

ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ გასულ თვეებთან შედარებით დაიკლო და 1.0% შეადგინა. ივლისთან შედარებით ფასების საერთო დონე 0.1%-ით შემცირდა. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში შენარჩუნებას მეტწილად ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაციის ეტაპობრივი კლება განაპირობებს, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 0.9% შეადგინა.

თვის ინფლაცია -0.1% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 1.0% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აგვისტოში გასულ თვესთან შედარებით ყველაზე მეტად სამომხმარებლო ფასებზე ინტერნეტის გადასახდელმა იმოქმედა. ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესება ივლისში დაიწყო და აგვისტოშიც გაგრძელდა, რასაც ფასის შესაბამისი გაძვირება არ მოჰყოლია. ამის გავლენით თვის ინფლაციამ 0.2 პპ-ით დაიკლო.

წლიურ ჭრილში ინფლაციას ყველაზე მეტად ბენზინის გაძვირება ზრდიდა. გასულის წლის აგვისტოსთან შედარებით ბენზინის ფასები საშუალოდ 15.8%-ით იყო გაზრდილი, ხოლო წვლილი ინფლაციაში 0.6 პპ-ს შეადგენდა. ინფლაციის შემცირებას ყველაზე მეტად ინტერნეტის და ელექტროენერგიის გადასახადების გაიაფება, შესაბამისად 0.4 პპ და 0.3 პპ-ით განაპირობებდა. სურსათის ფასები გასული წლის აგვისტოს ფასებზე 0.8%-ით ნაკლები იყო (წვლილი ინფლაციაში -0.2 პპ). აქედან ყველაზე გამოსარჩევი მწვანილის და იმერული ყველის გაიაფებაა, რაც ინფლაციას ჯამში 0.5 პპ-ით ამცირებდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივი ინფლაცია შემცირებას განაგრძობს. აგვისტოში ის 1.1%-მდე შემცირდა. შემცირების მიზეზები ინტერნეტის ღირებულების კლება, სხვადასხვა მომსახურებაზე საბაზო ეფექტის ამოწურვა და ზოგიერთი სურსათის გაიაფებაა. შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასები 1.1%-ით იაფი იყო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შერეულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ანტიბიოტიკებისა და ელექტროენერგიის ტარიფის წლიური გაიაფება მოქმედებს. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია 3.0%-ს შეადგენდა, სადაც უდიდესი წვლილი საწვავის გაძვირებას ჰქონდა.

მომსახურების ინფლაცია კლებას განაგრძობს და აგვისტოში 1.9%-მდე შემცირდა. როგორც აღვნიშნეთ, მომსახურების ინფლაციის თანდათან შემცირება მეტწილად საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. გარდა ამისა, მომსახურების ინფლაციის შემცირებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა ივლის-აგვისტოში ინტერნეტის ღირებულების კლებამ (1.7 პპ-ით).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	აგვ24/ივლ24		აგვ24/აგვ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.1%	-0.1%	1.0%	1.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	0.5%	0.1%	-0.2%	-0.1%
სურსათი	30.4%	0.4%	0.1%	-0.8%	-0.2%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.0%	0.0%	-1.2%	-0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	1.3%	0.1%	1.9%	0.1%
თევზეული	0.4%	0.8%	0.0%	-0.4%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	0.1%	0.0%	-3.7%	-0.2%
ზეთი და ცხიმი	2.5%	1.3%	0.0%	-1.4%	0.0%
ხილი, ყურძენი	1.6%	-2.1%	0.0%	17.9%	0.3%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	1.2%	0.0%	-12.8%	-0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-2.1%	-0.1%	4.1%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.2%	0.0%	2.1%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	1.1%	0.0%	5.4%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	-0.2%	0.0%	4.5%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-1.9%	-0.1%	-3.8%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	0.3%	0.0%	-2.6%	-0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	-0.4%	0.0%	-1.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.4%	0.0%	1.1%	0.1%
ტრანსპორტი	12.0%	-0.2%	0.0%	7.4%	0.9%
კავშირგაბმულობა	3.7%	-5.7%	-0.2%	-12.7%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.7%	0.0%	-1.5%	-0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.8%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.5%	0.0%	7.3%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.5%	0.0%	4.7%	0.2%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	63.1%	0.2%	0.1%	1.1%	0.7%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	7.2%	-1.2%	-0.1%	-2.7%	-0.2%
ხანგრძლივვადიანი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.2%	0.0%	-0.9%	0.0%
მომსახურება	24.8%	-0.6%	-0.1%	1.9%	0.5%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი

ივლისში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.8 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.9 მლრდ ლარით გაიზარდა) და 55.4 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 16.3%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.9 მლრდ ლარით (3.4%-ით) გაიზარდა და 28.5 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ განაპირობა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 5.9% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.5%-ზე შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 1.9%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 10.5% შეადგინა. ასევე გაიზარდა აშშ დოლარისა და ევროს ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.6 და 0.5 პპ-ით, შესაბამისად 2.5% და 1.4% შეადგინა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაციამ ივლისში 48.5% შეადგინა. ივლისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 63.7%-მდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების 1.3 პპ-ით, 38.4%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ივლისში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით, 61.6%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 18.3%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება ძირითადად ეროვნული ვალუტით დაკრედიტების დაჩქარებამ განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდის ტემპი 22.4%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 12.2 პპ-იანი წვლილი შეიტანა. ივლისში უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდის ტემპი მცირედით შენელდა და წლიურად 13.4%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ივლისში, დაკრედიტების ზრდა მეტწილად ბიზნესის სესხების ზრდამ განაპირობა. ბიზნესის სესხების წვლილი დაკრედიტების ზრდაში 10.7 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილი 2.1 პპ, ხოლო სამომხმარებლო სესხების წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში 5.2 პპ-ია.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.0% შეადგინა. **ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 14.7%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 9.3%-მდე გაიზარდა.**

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით, 11.9%-მდე, გაიზარდა. ასევე იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთიც 0.2 პროცენტული პუნქტით, 11.8%-მდე, გაიზარდა. ივლისში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით, 10.1%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 7.4%-ზე შენარჩუნდა.

ივლისში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.14 პპ-ით, 44.2%-მდე შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით, 64.0%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით, 26.9%-მდე შემცირდა. ივლისში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 9.2 მლნ ლარით შემცირდა და 619.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 38.0% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

2024 წლის ივლისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 7.8%-ით გაუმჯობესდა და 735.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის კლება ექსპორტის მაღალ ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 7.2%-ით 1,420.3 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 29.9%-ით გაიზარდა და 684.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ივლისი 2024)



წყარო: საქსტატი

იმპორტი - ივლისში საქონლის იმპორტი წლიურად 7.2%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტის მაღალმა ზრდამ განაპირობა. შუალედური და სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფების იმპორტი კი ზომიერად გაიზარდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მკვეთრი მატება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში რეექსპორტისთვის განკუთვნილი ტრაქტორების, ასევე რენტგენული აპარატურისა და სამშენებლო დანიშნულების მანქანა-მოწყობილობების იმპორტი წლიურად შემცირდა. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მატებაში ყველაზე მეტი წვლილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე შერეული საქონლის, სამკურნალო საშუალებებისა და ახალი და გამხმარი კაკლის შესყიდვების მნიშვნელოვანმა ზრდამ შეიტანა, თუმცა ამავე ჯგუფში შემცირდა რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და ასევე სხვა საფრენი აპარატების ჯგუფების იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილებისა და სატელეფონო აპარატების - იმპორტის წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად იმუნური შრატების, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და ქვანახშირის ნახევარკოქსის შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, რეექსპორტისთვის განკუთვნილი ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აგრეთვე ნავთობაირებისა და ტურბოხრახნიანი ძრავების იმპორტმა დაიკლო. მთლიანობაში, ივლისში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 3.2%-ით მოიმატა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანა თურქეთმა, რაც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე სამკურნალო საშუალებების შესყიდვების ზრდას უკავშირდება. თუმცა, ამ ქვეყნიდან სამრეწველო დამზადების თამბაქოსა და სიგარები-სიგარეტების იმპორტმა წლიურად დაიკლო. ჩინეთიდან იმპორტის მატება გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სატვირთო ავტომობილების მაღალმა შესყიდვებმა განაპირობა. გერმანიიდან იმპორტის ზრდა უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მაღალმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჰონკონგიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, პოლონეთიდან შერეული საქონლის, უზბეკეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო ბრაზილიიდან შაქრის შესყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის კლების კუთხით გამოირჩეოდნენ აშშ და იაპონია - ამ ქვეყნებიდან რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მკვეთრი კლების გამო. გარდა ამისა, იმპორტის კლებაში მაღალი წვლილებით გამოირჩეოდნენ სომხეთი სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების შესყიდვების, ხოლო არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან შაქრის იმპორტის შემცირების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 64% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ივლისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (29%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ივლისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ივლისთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ივლისი 2024. მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ივლისი 2024)



წყარო: საქსტატი

ექსპორტი - ივლისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 29.9%-ით გაიზარდა და 684.6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის მატება მეტწილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ასევე შუალედური და საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტი. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილებისა და სპირტიანი სასმელების გაყიდვებმა შეიტანა. მოიმატა ასევე მინერალური, მტკნარი და გაზიანი სასმელების, ასევე სამრეწველო დამზადების თამბაქოს ექსპორტმა. ამის საპირისპიროდ, გარდა ამისა, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და სხვადასხვა ტანსაცმლის ჯგუფების ექსპორტის კლება. შუალედური სახის საქონლის ექსპორტის ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი (36.7 პპ) ადგილობრივი წარმოების ნედლეულმა - ფეროშენადნობების - გაყიდვების გააქტიურებამ შეიტანა. ამასთანავე, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ასევე მინერალური და ქიმიური სასუქების და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტმა კვლავ მოიმატა. გარდა ამისა, ივლისში, წინა წლის ბოლო თვეებისგან განსხვავებით, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი დაბალი იყო, თან ასევე წლიურად მისი მოცულობა მნიშვნელოვნად დაკლებულია. საინვესტიციო საქონლიდან სატვირთო ავტომობილების, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილებისა და სამშენებლო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ექსპორტმა მოიმატა, ხოლო ტრაქტორების რეექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. ივლისში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 20.8%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების მატებაში მაღალი წვლილი შეიტანა ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის მატებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, სომხეთში სპირტიანი სასმელებისა და საცვირთო ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყანაში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი წლიურად შემცირებულია. აზერბაიჯანში სამრეწველო დამზადების თამბაქოსა და მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებმა მოიმატა, ხოლო მსხვილფეხა ცოცხალი პირუტყვის ექსპორტი შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-ში ფეროშენადნობების მკვეთრად მომატებული გაყიდვა, პერუში ქიმიური და მინერალური სასუქების, ჩინეთში ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ნიდერლანდებში მცირე რაოდენობით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო უზბეკეთში მედიცინაში გამოსაყენებელი ხელსაწყოებისა და მინერალური წყლების გაყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, თურქეთში ელექტროენერგიისა და ტრაქტორების, ხოლო რუსეთში მსუბუქი ავტომობილებისა და ყურძნის ნატურალური ღვინოების გაყიდვებმა წლიურად დაიკლო. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ესპანეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო უგანდაში შერეული საქონლის ექსპორტის ზომიერი კლება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 78% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ივლისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (38%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ფეროშენადნობების, სპირტიანი სასმელებისა და ყურძნის ღვინოების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილები მსუბუქი ავტომობილებისა და ფეროშენადნობების ჯგუფებმა შეიტანეს (13.6 პპ და 10.8 პპ მთლიან ცვლილებაში შესაბამისად). ივლისში სპილენძის მადნები და კონცენტრატები მცირე რაოდენობით გაიყიდა, თუმცა წლიურად ექსპორტი კვლავ მნიშვნელოვნად შემცირებული იყო. წლის დასაწყისიდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი წლიურად მცირდებოდა, თუმცა ივლისში წლიურად მნიშვნელოვნად (38.4%-ით), 259 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. გარდა ამისა, ექსპორტის მოცულობაზე ელექტროენერგიასა და შერეული საქონლის ჯგუფებზე საგარეო მოთხოვნის კლება უარყოფითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივლისი 2024, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ივლისი 2024)



წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - ივლისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1.8%-ით დაიკლო და 298.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 17.1%-ით 33.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. ივლისში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 39%-ით, 49 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მაღალი ტემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (24.5%-ით და 22.2%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორიცაა ყირგიზეთი და აზერბაიჯანი, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (133.8%-იანი და 6.8% -იანი მატება, შესაბამისად). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** ივლისში, რეგიონის ქვეყნებიდან, კერძოდ თურქეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (35.9%-იანი კლება). უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება. **ივლისში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (43.0%), აშშ (16.9%) და რუსეთი (15.3%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში
(ივლისი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა
(წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.8258-დან 2.7338-მდე (3.3%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 3.0421-დან 2.9647-მდე (2.6%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7214 და 2.9481 შეადგინა. ივლისში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.8101 იყო, მინიმალური კი - 2.6952.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმუმზე ორჯერ მეტად იყო გადახრილი.

ივლისში საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ლარის გამყარება; ასევე გამყარდა რუბლი და ევრო, თურქული ლირა გაუფასურდა, ხოლო აზერბაიჯანული მანათი და სომხური დრამი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (ივლისი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 10.4%-ით გაუფასურდა, თვის ჭრილში გამყარებამ კი 1.9% შეადგინა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიური გაუფასურება 0.7%-ია, თვის ჭრილში გამყარება კი 3.3%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.

სავაჭრო პარტნიორთაგან ივლისში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, აშშ-ში, აზერბაიჯანსა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ივლისი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები

ივლისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 7[1] არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირებულია, რაც გაზრდილ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა როგორც თვიურად, ისე წლიურად შემცირებულია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 180.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 125.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია, წინა წლის ივლისთან შედარებით კი - 193.0 მლნ აშშ დოლარით. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 7.1%-ით შემცირდა, წლიურად კი 3.4%-ით გაიზარდა.

ივლისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ[2] გარიგებებით ხდებოდა (97.5%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,337.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 292.7 მლნ აშშ დოლარით, ხოლო თვის ჭრილში 290.4 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 0.1% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 1.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია როგორც წლიურ, ისე თვის ჭრილში. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივლისში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 26.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ ჭრილში ზრდა 177.4 მლნ აშშ დოლარია) და 1,665.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 266.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში ზრდა 112.0 მლნ აშშ დოლარია) და 1,671.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. ივლისში სავალუტო ფორვარდ[3] გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 68.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ ჭრილში ზრდა 7.0 მლნ აშშ დოლარია) და 84.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 42.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი სპოტ გარიგებებით შეძენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 90.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და მონეტარული ოქროს გადაფასება, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ივლისში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიცა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და ივლისის ბოლოს ნაშთმა 60 მლნ ლარი შეადგინა.

ივლისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ივლისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 85 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 141.6 მლნ ლარით გაიზარდა და 8,754.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 66.5%-ს კომერციული ბანკების, 19.7%-ს ეროვნული ბანკის, 11.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 2.1%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები მცირედით გაიზარდა. სახაზინო ვალდებულებების განაკვეთების შემცირებასთან ერთად, შემცირდა ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებიც, გარდა ორწლიანისა. კერძოდ, ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.06 პპ-ით, 7.70%-მდე, გაიზარდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.08 და 0.10 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად, 7.90% და 7.85%-ს შეადგინა; სახაზინო ორწლიანი ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 1.05 პპ-ით გაიზარდა და 9.17% შეადგინა, ხოლო ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 0.15-0.15 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 9.48% და 9.80% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 1,312.7 მლნ ლარით (წლიურად 12,328.5 მლნ ლარით) 20,875.3 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (83.4%), რომლის მოცულობაც თვიურად 2,561.7 მლნ ლარით (17.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 1,249.0 მლნ ლარით (26.5%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე როგორც ლარის, ისე უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1-0.1 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 7.93% და 3.25% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ივლისში ფულადი ბაზრის რესურსის 35.9% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 63.9% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 602.0 მლნ ლარით (8.6%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.6 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 193.8 მლნ ლარით (1.9%-ით) გაიზარდა.

ივლისში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 36.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა ივლისის განმავლობაში 1.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 34.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ივლისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 336.6 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 981.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივლისში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 186.0 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 50 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 224.1 მლნ ლარით გაიზარდა. ივლისში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, ივლისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 274.1 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,774.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

ივლისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 956.0 მლნ ლარით გაიზარდა, მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 942.2 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge